

კომისია - მიზნები

ტერორისტულ დანაშაულთა პრევენცია

ქვეყნის უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა



კომისიის შემადგენლობა

- ა) **სულხან გოცაძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) **ლევან კახიანი** – სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტი) უფროსის (დეპარტამენტის დირექტორის) მოადგილე;
- გ) **ალექსანდრე ციტიშვილი** – სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) პირველი მთავარი სამმართველოს მე-3 სამსახურის უფროსის მოადგილე;
- დ) **დავით ჩუბინიძე** – სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) მე-2 მთავარი სამმართველოს პირველი სამსახურის უფროსი;
- ე) **დავით ლომიძე** – სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი;
- ვ) **ომარ თუშურაშვილი** – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივის დირექტორი;
- ზ) **ივანე ჯახუა** – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივის მე-2 განყოფილების (პარტიული არქივის) უფროსი;
- თ) **კახაბერ გარგულია** – სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი. ამასთან კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს.

უფლებამოსილებები

- კომისია დადგენილი წესით აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან ან
- რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული მონაცემები ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან მათ ფარულ კავშირზე მიუთითებს.
- კომისია ასევე აგროვებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე,
- ასევე საკულტო ნაგებობების,
- ძეგლების, მონუმენტების,
- ბარელიეფების,
- წარწერების შესახებ,
- ქუჩების,
- მოედნების,
- სოფლებისა და დაბების სახელწოდებების,
- აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე,
- რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს.